თსუ მედიცინის ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია
2018-2022 წლებში

თსუ მედიცინის ფაკულტეტი, რომელიც აღსდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1994 წელს, წარმოადგენს საუნივერსიტეტო სტრუქტურას, რომელიც თავისთავში აერთიანებს, ერთი მხრივ, თსუ-ში 1918 წელს დაფუძნებული სამედიცინო ფაკულტეტის მემკვიდრეს, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ჯანდაცვისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემებში მოღვაწე სამეცნიერო კვლევითი და კლინიკური ინსტიტუციების პოტენციალის შემკრებს.

ფაკულტეტი მოწოდებულია გაზარდოს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე კონკურენტუნარიანი კადრები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ჯანმრთელი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნისკეთილდღეობისდა საზოგადოების ეკონომიკური, ჰუმანური და სამეცნიერო განვითარებისათვის.

ფაკულტეტზე ამჟამად ხორციელდება სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, სპეციფიკიდან გამომდინარე, დიპლომისშემდგომი სპეციალიზაციისა და უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამები. ფაკულტეტზე ისწავლება ორი ერთსაფეხურიანი დიპლომამდელი სამედიცინო განათლების პროგრამა: „მედიცინა“ და „სტომატოლოგია“ და ერთი საბაკალავრო პროგრამა „ოკუპაციური თერაპია“. ამასთანავე, პროგრამა „მედიცინა“ ხორციელდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და ორი სადოქტორო პროგრამა „კლინიკური და ტარანსლაციური მედიცინა“ და „ტრანსლაციური ბიო-მედიცინა (მიმართულება „ჰემატოლოგია“)“. ფაკულტეტი ახორციელებს დიპლომის შემდგომი სპეციალიზაციის 7 პროგრამას (რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამები).

ფუნდამენტური დისციპლინების სწავლება ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზებზე, ხოლო კლინიკური, მათ შორის, პროფილაქტიკური და ეპიდემიოლოგიური დისციპლინების სწავლება კი - უნივერსიტეტთან აფილირებულ ჰოსპიტლებში (კლინიკებში) და სამეცნიერო-კლინიკურ-პრაქტიკულ ცენტრებში.

კენჭს ვიყრი რა თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე წარმოგიდგენთ ჩემს კონცეფციას ფაკულტეტის განივითარების თაობაზე. კონცეფცია მოიცავს ხედვებს: სწავლების და კვლევის პროცესების, ასევე, მართვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პარტნიორული, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების, განვითარების და მისი ფინანსური უზრუნველყოფის ოპტიმიზაციის თაობაზე.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ფაკულტეტი უნდა გადაიქცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების ინსტიტუციად, რომლის მისიასაც შეადგენს, ერთი მხრივ, საუნივერსიტეტო ჰუმანური იდეის რეალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული ჯადაცვის სისიტემისა და საერთაშორისო სამედიცინო აზრის განვითარებისა და სრულყოფის ხელშეწყობა.

ჩემი, როგორც დეკანის (ამ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში) მიზანი იქნება, რომ ერთი საარჩევნო ვადის განმავლობაში ფაკულტეტი იქცეს გაზრდილი ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნადობის ინსტიტუციად, რომელსაც გააჩნია ოპტიმიზებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საკუთარი კლინიკური ცენტრები, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ქართველ და უცხოელ სტუდენტთა ოპტიმალური ბალანსი და საერთაშორისო პროფესიული

და სამეცნიერო ავტორიზაციის მქონე აკადემიური პერსონალი.

წარმოდგენილი კონცეფციით ასეთი მიზნის მიღწევა საჭიროებს კომპლექსურ ქმედებებს, რომელიც გაშლილი ჩამონათვალის სახითა და შესრულების (განხორციელების) ვადების მითითებითაა წარმოდგენილი თანდართულ ცხრილში:

გასატარებელიღონისძიებები	**შესრულებისვადა (წელი/თვე)**
მართვისპროცესის ოპტიმიზაციისათვის	
ფაკულტეტის საბჭოს ელექტრონული („ონ-ლაინ“) სხდომების დანერგვა და მისი უზრუნველყოფა ვიდეო თვალით არჭურვილი „სკაიპის“ და „მესენჯერის“ სისტემებით (საჭიროების შემთხვევაში ასეთი სხდომა ჩაანაცვლებს ტრადიციულ „დარბაზულ“ სხდომებს).	2018 წელი
ფაკულტეტის ადმინისტრაციის და მისი მუშაობის ოპტიმიზაცია; ელექტრონული თათბირებისა და მიმდინარე დავალებებთან დაკავშირებული კომუნიკაციის კომპიუტერულ-პროგრამული უზრუნველყოფა (ვიდეო თვალით არჭურვილი „სკაიპის“ და „მესენჯერის“ სისტემები).	2018 წლის თებერვალ - მარტი
ფაკულტეტისმაღალკვალიფიციურიაკადემიურიპერსონალითუზრუნველყოფისმიზნით,ოპტიმალურადუნდაიქნესგამოყენებულიპროფესორებისდაგეგმილიარჩევნები: საარჩევნოკრიტერიუმებიისეუნდა იქნეს შერჩეული, რომ მაქსიმალურად ითვალისწინებდეს შესაბამისი აკრედიტებული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ინტელექტუალურ რესურსების, ასევე სასწავლო და კვლევითიპროცესისწარმართვისთვისსაჭირომატერიალურტექნიკურიბაზისმიმართწაყენებულმოთხოვნებს.	2018 წლის ივნის-აგვისტო.
სწავლებისხარისხისკონტროლისმონიტორინგისმიზნითუნდადაინერგოსსამივესაფეხურისსტუდენტთაელექტრონულიგამოკითხვისსისტემა (პროგრამა, რომელიცკომუტირებული იქნებამედიცინისფაკულტეტისვებ-გვერდთან).	პროგრამა უნდა ამუშავდეს 2018 წლის მაისში.
სამედიცინო განათლებით დაინტერესებულ აბითურიენტთა საუკეთესო ნაწილის მოზიდვის მიზნით მნიშვნელოვანია პერმანენტულად გაიზარდოს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მოპოვებულ ქულათა მოთხოვნა დისციპლინებში: „ქიმია“, „ბიოლოგია“, „უნარები“. ასევე უნდა მოხდეს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესების და მიღწევათა რეკლამირება მედიის საშუალებებით (მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ის შესაძლებლობები, რასაც გვთავაზობს თსუ ტელევიზია („უნივერსია“) და ტელეკომპანია „პულსი“ (თსუ აკადემიური პერსონალის მონაწილეობით მომზადებული საინფორმაციო, სამეცნიერო-პოპულარული და კლინიკური პროფილის გადაცემები; დოკუმენტური ფილმები თსუ-ში სამედიცინო განათლების დაფუძნებაზე, გამოჩენილ უნივერსიტეტელებზე); საქართველოს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში ფაკულტეტის პოპულარიზაციის მიზნით, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამებში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოსა (სსო) და ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (ემსა) წევრთა აქტივობა.	პერმანენტულად, 2018-2022 წლებში.
უცხოელსტუდენტთამოზიდვისმიზნითმნიშვნელოვანია ახალი კავშირებისმოძიება და უცხოელსტუდენტთამომსახურებისოპტიმიზაცია; უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სააგენტოებთან დღემდე	2018 წლის თებერვლიდან,

გაფორმებული 15-მდე მემორანდუმი არ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტური. აუცილებელია გაფორმდეს ექსკლუზიურთან მაქსიმალურად დაახლოებული (ნებადართულ ფარგლებში) ხელშეკრულებები განსაკუთრებით გამორჩეულ 2-3 სააგენტოსთან. ამასთანავე, საჭიროა ფაკულტეტმა შესთავაზოს მათ და მათ მიერ მოზიდულ კადრებს მაქსიმალურად კომფორტული მომსახურება (მათ შორის, განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დადგენილი პროცედურების დროულად გავლის, ასევე შესაბამის ქვეყნებში საქართველოს საელჩოების მიერ ვიზების დროულად გაცემის ხელშეწყობა, აგრეთვე საერთო საცხოვრებლებით [ხელშეკრულების საფუძველზე] უზრუნველყოფა).	პერმანენტულად
ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო ორგანიზაციის (სსო) დაფუძნება და ემსა-ს შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. ფაკულტეტის ვებ-გვერდზე მათი საინფორმაციო გვერდის გახსნა, სტუდენტთა სამეცნიერო ორგანიზაციის მიერ სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების და ემსა-ს ღონისძიებათა ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერა.	სსო-ს დაფუძნება 2018 წლის თებერვალში. სსო-ს და ემსა-ს მხარდაჭერა - პერმანენტულად
სწავლების და კვლევის პროცესის ოპტიმიზაციისათვის	
ფაკულტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის ოპტიმიზაცია (დეტალურად იხილეთ ქვემოთ).	2018-2022 წწ.
ფაკულტეტზე, საბაზისო კორპუსში (ბელიაშვილის ქ. 78) სიმულაციური ცენტრის მოწყობის დასრულება;ცენტრი იმუშავებს პერმანენტული განვითარების (სიმულაციების გამრავალფეროვნების) რეჟიმში; ამავე შენობაში დასრულდება OSCE-ისათვის გამოყოფილი და გარემონტებული ოთახების აღჭურვა (სარკეების სისტემა, მიკროფონები და სხვ.) და OSCE-ის სისტემის თანდათანობით დამკვიდრება.	მოწყობის დასრულება 2018 წლის ივნისში. განვითარება და დამკვიდრება პერმანენტულად
საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალის „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal" შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს მისი "peer review"-ის სისტემის შემდგომ სრულყოფას და ინტერნაციონალიზაციას; Research Gate-ში ჟურნალის გვერდის სრულყოფას. წარმატებად ჩაითვლება, თუ მოხერხდება ჟურნალის ინდექსაცია Pub Med-ის ბაზაში 2022 წელს.	2018-2022 წწ.
ფაკულტეტზე დღეს მოქმედი გაცვლითი პროგრამების რაოდენობისა და„მენიუს" გაზრდა განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის; უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრებთან გაფორმებული ყველა მემორანდუმისა და ხელშეკრულების ეფექტურად გამოყენება.	2018-2022 წწ.
2018 წელს დაგეგმილი ავტორიზაციის პროცესის წარმატებით გავლა; 2019 წელს დაგეგმილი მიმდინარე	2018-2022 წწ.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის წარმატებით გავლა; ფაკულტეტის საბჭოზე ახალისაფაკულტეტთაშორისო პროგრამების(მაგალითად, „ფარმაცია“) მომზადებადააკრედიტაცია; ინგლისურენოვანი პროგრამის „სტომატოლოგია“ მომზადება და აკრედიტაცია; საექთნო-სანაგმანათლებლო პროგრამის მომზადება და აკრედიტაცია;	
ფაკულტეტისდებულებითგათვალისწინებული შესაძლებლობის ფარგლებში ქართულ-იტალიური ლაპაროსკოპიული ქირურგიის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრის შექმნა - თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმის შენობის ბაზაზე. (ცენტრის გარემონტება-აღჭურვას და ფინანსურ მენეჯმენტს ითავებს იტალიური მხარე, ორგანიზაციულ მენეჯმენტს - თსუ მედიცინის ფაკულტეტი. ცენტრი გამოყენებული იქნება თსუ სტუდენტთა და რეზიდენტთა ტრენინგისათვის, ასევე აკადემიური პერსონალის და დოქტორანტთა ექსპერიმენტული კვლევებისათვის).	ცენტრის ამოქმედება არაუგვიანეს 2019 წლის ივნისისა.ფუნქციონირება იქნება პერმანენტული
პარტნიორულიურთიერთობები	
ფაკულტეტზე დღეს მოქმედი გაცვლითი პროგრამების რაოდენობისა და„მენიუს“ გაზრდა განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის; უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრებთან გაფორმებული ყველა მემორანდუმისა და ხელშეკრულების ეფექტურად გამოყენება არა მხოლოდ სტაჟირებისათვის, არამედ მათთან ერთობლივი კვლევითიცენტრებისშექმნადამათისათანადოდაღჭურვისათვის (მათ შორის იგულისხმება ზემოაღწერილი ქართულ-იტალიური ლაპაროსკოპიული ქირურგიის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრის შექმნაც).	2018-2022 წწ.
ფაკულტეტზესაერთაშორისოკონფერენციებისმოწყობისტრადიციის შენარჩუნებადამათი ინსტიტუციურიმხარდაჭერისსტანდარტისშემუშავება, რათაასეთიკონფერენციებიიქცესახალიპარტნიორულიურთიერთობისდასაწყისადდაფაკულტეტისაკადემიურიპერსონალი სდადოქტორანტებისკვალიფიკაციისამაღლებისერთ-ერთსაშუალებად. (მნიშვნელოვანია, თუყოველწელს ფაკულტეტი 2 საერთაშორისო კონფერენციას/სიმპოზიუმს/სემინარს მაინც უმასპინძლებს. მიმდინარე წელს, ივნისში, დაგეგმილია საერთაშორისო სიმპოზიუმის „კლინიკური ნეირომიოლოგიისთანამედროვეტენდენციები“ ჩატარება - 4 საერთაშორისოექსპერტისმონაწილეობით, ხოლო ა.წ 9-10 აგვისტოს, მესტიაში, გაიმართება საქართველო-ისრაელის ქირურგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი: „კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქირურგიის აქტუალური საკითხები“);უცხოეთშიგამართულსაერთაშორისოკონფერენციებზეთსუპროფესორებისადადოქტორანტებისმივლინებისმხარდაჭერა (ამჟამად, ყოველწლიურადხერხდება 5-6 წარმომადგენლისმივლინებისდაფინანსება. ფაკულტეტისბიუჯეტისზრდისპარალელურად, მიზანშეწონილიაამრიცხვისგაზრდა).	2018-2022 წწ.
საერთაშორისოკვლევითიდასაგანმანათლებლოსაპარტნიოროპროექტებისიმპლემენტაციის გააქტიურება („ერასმუსის“, ჰორიზონ 2020-ის“, თურქეთის, გერმანიის, აშშ-ის, შვეიცარიისდასხვაქვეყნების, ასევესაქართველოსრუსთაველისეროვნულისამეცნიეროფონდისშემოთავაზებათამაქსიმალურირეალიზაცია;ამმიზნით, ფაკულტეტისსამეცნიეროკვლევებისადაგანვითარებისსამსახურმაუნდაიტვირთოსყველასაჭიროინფორმაციისდროულადმიწოდებადაპოტენციურბენეფიციართაგამოვლენადაკოორდინაცია. საჭიროა,	

იმქვეყნებისუნივერსიტეტებსადაკვლევითცენტრებში, რომლებიცგამოდიანზემოდასახელებულიინიციატივებით, წინასწარიქნესმოძიებულიპარტნიორები - თსუმედიცინისფაკულტეტისპროფესურის „იდეათაბანკის“ გათვალისწინებით).	
მატერიალურ-ტექნიკურიუზრუნველყოფა	
ფაკულტეტს უნდა გააჩნდეს საკუთარი კლინიკური ბაზა. ამ თვალსაზრისით განსახორციელებელია პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. <u>პროგრამა მინიმუმი გულისხმობს</u> თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტთან აფილირებულ 2-3 კლინიკასთან ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმებას, რაც გულისხმობს ამ კლინიკებში სასწავლო ფართის (საწავლო ოთახების, სალექციო აუდიტორიების) სრულყოფილად აღჭურვას, სტუდენტთა მორიგეობის სისტემის დამკვიდრებას და კლინიკებისათვის „საუნივერსიტეტო“ ჰოსპიტლის სტატუსის მინიჭებას. ასევე, სტომატოლოგიის სასწავლო-კლინიკური ცენტრის (მისთვის უკვე გარემონტებულია ფართი თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის პირველ და ე.წ. „სარდაფის“ სართულებზე) სრულად აღჭურვას და ეფექტურ იმპლემენტაციას. ერთდროულად არანაკლებ 6 ჯგუფის მიღების შესაძლებლობით (სხვადასხვა კურსის/სემესტრის პროგრამით). <u>პროგრამა-მაქსიმუმი გულისხმობს</u> უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი ჰოსპიტლის შენობის (ყოფილი ქალაქის მე-2 მრავალპროფილიანი კლინიკის შენობის) რეაბილიტაციასა და ამოქმედებას, ან მის გამოყენებას ბიზნეს გეგმისათვის(ე.წ. „ჩანაცვლების პროექტი“), რაც ითვალისწინებს ამ შენობის გადაცემას ინვესტორისათვის იმ პირობით, რომ თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის ეზოში (თსუ კუთვნილ ტერიტორიაზე) მან ააშენოს ჰოსპიტალის შენობა 100 საწოლზე. (მოლაპარაკებები ინვესტორებთან, რომელშიც თსუ-ის ადმინისტრაციასთან ერთად ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ექიმთა ასოციაცია და ქალაქ თბილისის მერია, ამჟამადაც მიმდინარეობს); თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის კორპუსის კაპიტალურრემონტს, რის შედეგადაც ფაკულტეტი მიიღებს თანამედროვე სააქტო დარბაზს 200 კაცზე, კლინიკურ ლაბორატორიას და 400 კვადრატულ მეტრამდე დამატებით სასწავლო ფართს; თსუ მედიცინის ფაკულტეტის ვივარიუმის (თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმის) შენობის კაპიტალური რემონტს და მის ბაზაზე ქართულ-იტალიური ლაპაროსკოპიული ქირურგიის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრის შექმნას; სარემონტო სამუშაოების პარალელურად სასწავლო ბაზების აღჭურვა სამედიცინო და სამეცნიერო-ლაბორატორიული აპარატურით და სწავლებისთანამედროვესისტემებით.	პროგრამა-მინიმუმი უნდა დასრულდეს 2018 წლის ივნისში; პროგრამა-მაქსიმუმი უნდა დასრულდეს 2022 წელს.
ფაკულტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველოდარბაზისგაფართოება (სასწავლო ბიბლიოთეკის ფუნქციას დამატებით შეითავსებს თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზიც) და წიგნადი ფონდის გაზრდა და განახლება.	პერმანენტულად 2018-2022 წლებში
ფინანსური უზრუნველყოფის გზები	
დღეისათვის ფაკულტეტი ფუნქციონირებს ძირითადად სტუდენტების მიერ შემოტანილი (მათ შორის სახელმწიფო გრანტის სახით ჩარიცხული) დაფინანსებით. ფაკულტეტის დაფინანსების ზრდის ძირითად ბერკეტად ვვარაუდობთ	2018 წლიდან ....

უცხოელ სტუდენტთა მიერ გადახდილ სწავლების საფასურს, რამაც 2019/2020 სასწავლო წელს უნდა მიაღწიოს 6000 აშშ დოლარს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, ერთსაფეხურიანი (5-წლიანი) ინგლისურენოვანი პროგრამის - „სტომატოლოგია“ - დაგეგმილ აკრედიტაციას და იმპლემენტაციას, ასევე, კონტინგენტს - წლიურად მინიმუმ 130 უცხოელ სტუდენტს (100 – „მედიცინა“, 30 „სტომატოლოგია“) და მინიმუმ 130 საქართველოს მოქალაქე სტუდენტს (100 – „მედიცინა“, 30 „სტომატოლოგია“), 6 წელიწადში ფაკულტეტის შემოსავალმა, მინიმუმ 4 500 000 აშშ დოლარი და 1687500 ლარი შეიძლება შეადგინოსჯამურად, რაც დღევანდელი კურსის გათვალისწინებით შეადგინს 13 მილიონამდე ლარს,რაც ფაკულტეტის დღევანდელ ბიუჯეტს 4-ჯერ აღემატება. ამასთანავე, გაგრძელდება გრანტებით და ეკონომიკური შემოსავალით მიღებული თანხების მობილიზაცია-ინტეგრაციაც, თუმცა მათი წილი, ცხადია, უახლოეს წლებში კვლავ მოკრძალებული დარჩება.	
თსუ მედიცინის ფაკულტეტის „ალუმნის“ სიტემის შემოღება და ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან სპონსორების ინსტიტუტის შექმნა. ამასთანავე, სპონსორთა შემოწირულობები განისაზღვრება არა მხოლოდ ფულადი გადმორიცხვებით, არამედ თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (მათ შორის, დოქტორანტებისათვის) სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული (სამეცნიერო) განვითარების (ტრენინგები, სტაჟირება, სამუშაო ადგილები, კონფერენციებში მონაწილეობა) შესაძლებლობების შექმნით (ფინანსური უზრუნველყოფით)- „ალუმნების“ მოღვაწეობის ინსტიტუციების შესაბამისი პროგრამების, ან „ალუმნების“ სამეცნიერო-პრაქტიკული გრანტების ფარგლებში დაფინანსებით.	2018-2022 წწ.